

ოთარ ონიანი
(საქართველო)

„თეთრი მანგურის“ მიმართება სამონადირეო ბალადებთან

დალის ციკლის მასალებიდან „თეთრი მანგური“ გამოირჩევა თემატური სიახლითა და არქაულობით, მაღალმხატვრულობითა და რთული სარწმუნოებრივი დატვირთვით. იგი ორიგინალურ ადგილს იმკვიდრებს როგორც ქართულ, ასევე ზოგადად მითოლოგიურ პერსონაჟთა შორის. მიხეილ ჩიქოვანი საგანგებოდ მიაჩნებს, რომ „თუ წინა საფერხულო ლექსებში მონადირეებთან დალი კეთილ განწყობას ამყარებდა მგლის მოკვლისა და შვილის დაბრუნებისათვის, აქ ქალღმერთი მონადირეებს პეტერული მიჯნურობის გამო მფარველობს. ეს ხარისხობრივად განსხვავებული თვისებაა მატრიარქატის დროინდელი ღვთაებისა. ამ სიუჟეტში შეიძლება მამაკაცის სამეურნეო ძლიერების ანარეკლიც დავინახოთ, მოდგმის გაგრძელებაზე რომ არაფერი ვთქვათ... მოკვდავი მანგურისა და დალის ურთიერთობა ანტიკური ხანის მითოლოგიას მოგვაგონებს, ამავე დროს მას მსგავსება ინდურ მითოლოგიასთანაც აქვს“ (ჩიქოვანი ... 1972: 209). მკვლევრის დაკვირება, რომ ქალღმერთი დალი ხარისხობრივად განსხვავებული თვისობრივობით წარმოგვიდგება, სიახლეა, ამასთანავე, საინტერესოა ძეგლის ანტიკურ და ინდურ მითოლოგიასთან მსგავსების დანახვა... კვლევა ამის იქით აღარ მიდის. ავტორი აზრის ფაქტობრივი დასაბუთებისაგან თავს იკავებს. უნდა დავძინოთ, რომ „თეთრი მანგურის“, მართლაც, გამოკვეთილად გამორჩეული ძეგლია – შედეგრი ქართული სამონადირეო პოეზიისა. მისი რთული თემატური სამყაროს მეტ-ნაკლები სიღრმისეული წვდომა გულისხმობს არა მარტო სვანურ, არამედ მთლიანად ქართული ზეპირსიტყვიერების ტრადიციის, რწმენისა და წეს-ჩვეულებათა შესატყვის მცნიერულ დონეზე წარმოჩენასა და გააზრებას. კვლევის ამგვარ გზას გვთავაზობს ელ. ვირსალაძე. მისი აზრით: „ფოლკლორული ძეგლის დახასიათებისას, მისი კვლევისას, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ საკუთრივ ამ ძეგლის მონაცემებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ხალხის ცოცხალ ყოფაში, ადამიანთა ცნობიერებაში ამ ძეგლის ადგილის განსაზღვრას. სწორედ ეს გარემოება უნდა იქცეს ამოსავალ წერტილად ხალხური შემოქმედების ძეგლის არქაულობის, მისი განვითარების საფეხურის დადგენის დროს. ცალკეული ძეგლი უნდა შეისწავლებოდეს მის მიმართებაში მთლიანად ფოლკლორულ ტრადიციასთან და მთლიანად შემქმნელი კოლექტივის იდეოლოგიასთან. მაშინ გაირკვევა, თუ რა ხვედრითი წონა აქვს ფოლკლორის ამა თუ იმ ნიმუშს – წარმოადგენს იგი დღეს არსებულის ცოცხალ ნაწილს, თუ გადმონაშთის სახე აქვს. ახალი შინაარსი აქვს, მას შექმნილი დროთა ვითარებაში, თუ ხალხურმა ტრადიციამ იგი შემოინახა მხოლოდ როგორც მხატვრულ-ესთეტიკური

მნიშვნელობის ძეგლი... მხოლოდ ამგვარ დაკვირვებებზე აგებული ანალიზით შეიძლება სრული შეფასება მიეცეს ფოლკლორის ამა თუ იმ ნიმუშს“ (ვირ-სალაძე 1964: 16). დამონმებული აზრი არ საჭიროებს განმარტებას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „თეთრი მანგურის“ თემატურ სირთულეთა წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა, დალის ციკლის მასალის სრული სახით გათვალისწინება აუცილებელი (როგორც პოეტურის, ისე პროზაულის), ნაწარმოები მთელი თავისი არქაული მრავალფეროვნებითა და მხატვრული სიძლიერით მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაშია შემონახული. რომ დადგინდეს და დაზუსტდეს განსახილველი ძეგლის სპეციფიკურობები, პირველ რიგში იმის გარკვევაა საჭირო თუ რა მიმართებაშია ის სხვა ბალადებთან: „ბეთქილთან“, „მონადირე ჩორლასთან“, „ქალასთან“ და სხვა პროზაულ გადმოცემებთან, ასევე – ქართულ ფოლკლორულ ტრადიციასთან. ბალადის შინაარსი მრავალი სირთულის წინაშე გვაყენებს. ეს განსაკუთრებით ითქმის შესავალზე, რომელიც მთლიანად მანგურის პიროვნულ ღირსებათა წარმოჩენას ეძღვნება. გმირის ამგვარი დახასიათება არცერთ დასახელებულ ბალადაში არ ჩანს. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ „თეთრი მანგური“ თვისებრივად ახალი ფოლკლორული გმირია არა მარტო ქართული სამონადირეო ეპოსისა, არამედ ზოგადად მითოლოგიისაც. მსგავსი მრავალმხრივობა არც ერთი მითოლოგიური პერსონაჟის ქმედებაში არ შეინიშნება, იგი საკაცობრიო შინაარსის პერსონაჟია, შეიძლება ითქვას მომავლის ადამიანიც. ამგვარი აზრის თქმის უფლებას გვაძლევს ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელიც ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ბალადა პირველი სტრიქონიდანვე რთული ამოცანის წინაშე გვაყენებს:

სვანეთის საქებო თეთრო მანგურ,
ყოფა-ცხოვრება კარგი გქონია,
სანიავებელი წვირში გქონია.
სრავალი (პურის საშრობი) იფარში გაქვს,
კალო კალაში გქონია,
სახნავი ლახამულაში ქონია,
სათიბი შხარაში გაქვს;
საფოცხრად თურმე დევები გენევიან,
მოსამკალად თურმე დაღები გეხმარებიან;
კიდობნებად ვეებერთელა ქვაბები გიდგას,
მარანი ქვევრებით სავსე გაქვს,
(ქვევრებში) ღვინო იმერეთისა გიდგას,
პური გაქვს, ო, ყირიმისა.

(შანიძე ... 1939: 277)

ბალადის შესავალი, ორიგინალური სათაურით, ბევრ საფიქრალს გვიჩენს. მას ანალოგი არ დაეძებნება დალის ციკლის მასალაში. სირთულეს პირველი სტრიქონი ქმნის: „სვანეთის საქებო თეთრო მანგურ“. რა გააკეთა, რა

მოიმოქმედა ისეთი, რომ მთელი სვანეთის საქებ პიროვნებად მოიხსენიება?! ასევე საინტერესოა მანგურის წარმომავლობა. რა გვარისაა, რომელი სოფლიდან, რომელი თემიდან, არ ვიცით. ამ და სხვა თავისებურებათა წარმოსაჩენად საჭიროდ მიგვაჩნია სხვა ბალადებთან მიმართების გარკვევა.

ავის მომასწავებელი მოთქმა-გოდების შემდეგ გადმოცემულია თეთრი შუნის გადმოხტომაზე, რომელიც მოფერხულეთა შორის ჩამდგარ ბეთქილს „ლაჯებში“ გაუხტება. მოფერხულეთა აზრით, თეთრ შუნს მხოლოდ ბეთქილი დაედევნება, სხვა ვერავინ. როგორც ვხედავთ, თეთრი მანგურისაგან განსხვავებით აქ ყველაფერი გასაგებია: ბეთქილი მულახ-მუჟალის საზოგადოებიდანაა, ამ ორი სოფლის მცხოვრებთა ჭირისა და ლხინის თანაზიარი, განთქმული მონადირე, ადამიანობისათვის თავდადებული, კაი ყმა. თეთრ შუნს დაედევნებულმა ბეთქილმა ძალიან კარგად იცის, რომ საბედისწერო გზაზეა დამდგარი, მას უკან დაბრუნება აღარ უნერია, მაგრამ მაინც მიზანსწრაფულად სდია ბოლომდე. იცის, რომ თეთრი შუნი გარდასახული დალია, რომელთანაც მას გამოუსწორებელი შეცდომები აქვს დაშვებული: ბეთქილმა დალისთან დადებულ ყველა პირობას უღალატა, უნმინდური მიდის სანადიროდ, დალთან ურთიერთობას სხვა ქალის სიყვარული არჩია, ქალღმერთის მიერ ბოძებული მძივი თავის რძალს, თამარს, აჩუქა, დალის კი სიმართლე დაუმალა – იცრუა, რომ მძივი სანოლის სასთუმალში დამრჩაო, რითაც კიდევ უფრო განარისხა დალი. მისი დაღუპვაც გარდაუვალი აღმოჩნდა და კიდევ დაიღუპა. ბალადაში ბეთქილის ტრაგიკული თავგადასავალია გადმოცემული, როგორც მონადირის. განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩვენთვის საინტერესო ბალადაში „თეთრი მანგური“. მასში განსაკუთრებულ სირთულეს სწორედ შესავალი ნაწილი ქმნის, სადაც მანგურის ქმედებათა მხოლოდ შედეგებზეა საუბარი (ამაზე ქვემოთ). ზემოთ დასახელებული სვანური სამონადირეო ბალადები შედეგებია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. თითოეული დამოუკიდებელი თავისთავადობაა, მონადირის ფიზიკურ-სულიერი განვითარების გზები და საფეხურებია საინტერესო. ამბის განვითარება მონადირეთა ყოფიერების ძნელად გასააზრებელ მრავალმხრივობასა და ქვემდებარებული. საბოლოოდ მონადირის ბედი მისივე ქმედების გამოძახილია, როგორც ეს ბეთქილის ტრაგიკული თავგადასავლის შემთხვევაში გვაქვს. სწორედ ამ აზრითაა საინტერესო მონადირე ჩორლას თავგადასავალი. იგი ჭეშმარიტი მონადირეა მულახ-მუჟალის საზოგადოებიდან.

წინასწარვე უნდა გაცხადდეს, რომ „მონადირე ჩორლა“ ურთულესი შინაარსის ძეგლია ქალღმერთი დალის ციკლის მასალიდან. იგი ერთადერთია ჯერჯერობით, რომელშიც გმირი ინიციაციის ძნელად გასავლელ გზებსა და საფეხურებს გადის. მხედველობაში გვაქვს ა) ვარიანტი. მასში ჩორლამ სულიერი ზეალსვლის ახალსა და მალალ საფეხურს მიაღწია. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ერთხმააა აღიარებული, რომ ჩორლამ ტაბუ დაარღვია, მეათე კლდეზე გასულმა ას ოცი ჯიხვი და არჩვი მოკლაო. სინამდვილეში ტექსტი სულ სხვა რამეს გვეუბნება:

სანამ გზას გაუდგებოდი,
ცხრა კლდეს გადასულხარ,
არაფრის კვალი არ გინახავს,
მეათე კლდეზე გადასულხარ.
ჩაგიხედავს შიდა ხევში;
ჯიხვითა და არჩვით სავსეა.
შენი კუთხვა მხარზე გადმოგიღია,
სანამ სროლას შეუდგებოდი,
ას ოცი უკვე მოგიკლავს,
ჯიხვი და არჩვი ყველა შერეულად.
(შანიძე ... 1939: 290)

აქ საქმე გვაქვს ძნელად ამოსაცნობ სარწმუნოებრივი შინაარსის ძეგლთან. საკმარისია, დაისვას კითხვა: სანამ გზას გაუდგებოდა მონადირე ჩორლა, როგორ გაიარა ცხრა კლდე? სანამ სროლას დაიწყებდა, რანაირად შეიძლება მოეკლა ას ოცი ჯიხვი და არჩვი? ეს ხომ ალოგიკურია. სინამდვილეში სულ სხვა სირთულეებთან გვაქვს საქმე, ძნელად გამოსავლენ და გამოსაცნობთან... მონადირე ჩორლა ფათერაკებით აღსავსე ინიციაციის რთულ გზას გადის. ამ გზაზე ადამიანი შეიძლება დაიღუპოს კიდეც, თუ სულიერად არაა სათანადოდ მომზადებული. ჩორლამ რაინდულად გაუძლო განსაცდელს... დალებისაგან კლდეზე გადმოკიდებულს წმ. გიორგი მოველინება. მან დალები, დალთა ლაშქრიდან მოკვეთილი ერთ-ერთი შერისხული დალის დახმარებით გაიგო, რომ დალებს ყველაზე მეტად აშინებთ მეძავი ქალის ფეხის დანადგამზე გავლილი მამაკაცის მოყვანა... დალებმა გაათავისუფლეს ჩორლა, მაგრამ მარჯვენა ფეხი მოსტეხეს. წმ. გიორგი კი განკურნავს მას და დალოცავს:

– შენ რა გინდა, ჩემო ჩორლა,
– კვირაში წვრილი არჩვი
უხვად და უნანებლად,
თუ – დღეში ჯიხვის თავი.
– უფალო ჩემო, ნუ გამინყრები:
დღეში – ჯიხვის თავი.
(შანიძე ... 1939: 296)

ამ დიალოგს წინ უძღვის წმ. გიორგის მიერ წარღვნის მოვლინება დალთა ლაშქარზე და ჩორლას თხოვნა ერთ-ერთი დალის გადასარჩენას – „არ დავახრჩოთ“. მთავარ მონამემ უპასუხა:

– ჩორლა ჩემო, არ დავახრჩობთ,
სადაც მოჰკვდე, იქ მოკვდეს.
თქვენი შთამომავალი მილიონი იყოს.
(შანიძე ... 1939: 295)

წმ. გიორგის ამგვარი დალოცვის შემდეგ საქმე გვაქვს მრავალმხრივ დამაფიქრებელ დასასრულთან: ჩორლა შინ მიდის.

აქ ჩორლას ქალი დაუხვდა,
ქალი დაუხვდა ძლიერ მეძავი,
წინ შეხვდა კლდის დალს,
კლდის დალს სული ამოხდომია.
„შე მეძავო ცოლო ჩემო,
(რად) არ გერჩია ცოცხლად ყოფნა!“
ჩორლა აქ სული ამოხდომია.
(შანიძე ... 1939: 297)

ამგვარი დასასრული, მთავარმონამის დალოცვისა და დაბედებული მადლის შემდეგ, რომ ჩორლასა და დალის შთამომავლობა მილიონი იყოს, არა მხოლოდ ადამიანური განსჯით და ლოგიკით, არამედ სულიერი პოზიციებიდანაც დამაფიქრებელია. საქმე იმაშია, რომ ჩორლა უკვე ინიციატივაგაველილი, ახალი პიროვნებაა, სულიერად განწმენდილი, წმ. გიორგის მადლით ცხებულის.

გადარჩენილი დალი კი ადამიანურ ყოფიერებასთან ყველაზე ახლოს მყოფია დალთა ლაშქარიდან, მას ხომ ბევრი მშვიერი მონადირე შეუკედლებია და დაუპურებია, ბევრი გაციებული გაუთბია, ასე რომ, პრობლემა ღიად რჩება, ამგვარი საიდუმლოების ამოცნობა, მისი ჭეშმარიტ მეცნიერულ დონეზე გააზრება მომავლის საქმეა... ორივე ბალადა – „ბეთქილი“ და „მონადირე ჩორლა“ ვრცლად გვაქვს განხილული ნაშრომში „კულტურული გმირის“ პრობლემა ქართულ ფოლკლორში (2009 წ). „თეთრ მანგურთან“ მათი მიმართება მნიშვნელოვნად თავისებურია იმ აზრით, რომ წარმომავლობით ორივე ბალადის გმირი მულახ-მუჟალის საზოგადოებიდანაა. ბუნებრივია, რომ თითოეულის თავგადასავალი, ქმედება წმინდა სამონადირეო ყოფიერებასთანაა დაკავშირებული და რჩებიან პროფესიონალ მონადირეებად, ცხადია დამოუკიდებელი სპეციფიკურობებით. „თეთრი მანგური“ კი განსხვავებული თავისთავადობაა. არც ისაა შემთხვევითი, რომ მისი წარმომავლობა ბუნდოვანია, იდუმალების ბურუსით მოსილი. მართალია, ბალადა სამონადირეოა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მანგური პროფესიონალ მონადირედ რჩება, როგორც ბეთქილი და ჩორლა. ამ საკითხზე ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

შესადარებელი მასალის მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად თქმულით დავკმაყოფილდეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, საკვლევი ბალადის მიმართებამ სვანურ ფოლკლორულ ტრადიციასთან, კონკრეტულად კი სამონადირეო პოეზიისა და პროზის ძეგლებთან, საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა, თითოეული ძეგლი დამოუკიდებელ თავისთავადობად წარმოგვიდგა. მონადირეთა მძაფრი, ზოგჯერ წინააღმდეგობებით აღსავსე თავგადასავლები, იმის უტყუარი დადასტურება აღმოჩნდა, რომ ისინი ბოლომდე რჩებიან ჭეშმარიტ მონადირეებად, საზოგადოებაში გამოკვეთილად გამორჩეულ

ინდივიდუალად. შედარებამ დაგვარწმუნა თითოეულის თემატიკური სამყაროს მრავალფეროვნებაში, ღრმად რელიგიურობასა და მაღალმხატვრულ ოსტატობაში. რასაკვირველია, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს სვანურ ფოლკლორში მოძიებული მასალა. საერთო ფოლკლორული ძირების წარმოსადგენად განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეთა კლასიკური პოეზია. შევჩერდებით ხევსურულნ ერთ-ერთ შედეგრზე, თქმულზე ქურაზიშვილთა დიდებით მოსილ საგვარეულოზე:

ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო,
სამი მზე მოვა თქვენზედა;
ერთ მოვა პურადობისა,
შუქ დაგიღვებისთ სკამზედა,
მეორე – მამაცობისა,
მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,
მესამე – თოფოსნობისა,
ჯიჰვენ ვერ გიგვლენ მთაზედა.
(შანიძე 1931: 108)

დამონმებული ლექსი რთული შინაარსისაა. მისი მნიშვნელობა არაერთგვაროვანია. თითოეული სტრიქონი დამოუკიდებელ დაკვირვებას საჭიროებს. როგორც დ. გოგოჭური შენიშნავს: პურადობასა და მამაცობასთან ერთად ხევსურისათვის ნადირობა ვაჟკაცის მესამე ღირსებად არის აღიარებული (გოგოჭური 1974: 148), ხოლო ჭეშმარიტი მონადირე კაი ყმის ყველა ნიშანთვისებების მატარებელია. ასე რომ, სამი მზის მადლი (სამივე თვისებაზე) ერთნაირი ძალმოსილებით არის გადმოსული, ისინი ერთიმეორეს ავსებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ბალადა „თეთრ მანგურთან“ მიმართებით ქურაზიშვილებზე გამოთქმულ კლასიკურ ლექსს ბევრი რამ აქვს საერთო. განმასხვავებელი ნიშანი კი ისაა, რომ ხევსურულში მთლიანად საგვარეულოზეა დაშვებული ღვთიური მადლი, თითოეულ წევრზე, რაც იშვიათ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ქართულ მითოლოგიაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით საგვარელოს ამგვარად აღზევებულ სულიერ მდგომარეობას წინ უძღვის ქურაზიშვილების სანაქებო მოღვაწეობა ადამიანთა საცხოვრისში, წინაპრების გამორჩეულობა, თავდადება და გარჯა ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებისათვის, კონფლიქტები საგვარეულო, თუ მეზობელ კუთხეთა შორის, უფრო მეტად კი – გარეშე მტრების წინააღმდეგ. ჩანს, რომ ქურაზიშვილების სანაქებო მოდგმას განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული კუთხის გმირულ ისტორიაში, სულიერ აღზევებასა და განვითარებაში. სამი მზის მადლიც ამიტომაა დაშვებული მათზე. საგანგებოდ უნდა დავძინოთ, რომ მთქმელი „თეთრი მანგურისა“ და ქურიზიშვილების გამორჩეულობაზე ფაქტებით არ გვესაუბრება, აქცენტი შედეგებზეა გადატანილი. მკითხველმაც შედეგები უნდა გააცნობიეროს, უნდა შეძლოს იმ იდუმალებათა ამოც-

ნობა, რამაც პიროვნებისა და მთელი საგვარეულოს ამგვარი სრულყოფილებით წარმოჩენა განაპირობა, რასაც ასე სიღრმისეულად ატარებს ორივე კუთხის გმირული ისტორია თავისი მაღალი სულიერებით. ბალადაში „თეთრი მანგური“ ადამიანია საინტერესო, უფრო ზუსტად, ადამიანის დანიშნულება ფიზიკურ საუფლოში. ეს საკითხი ფილოსოფიურ ფიქრებსაც გვიჩენს და იგი აქტუალურია ქართული ფოლკლორისათვის. ამ აზრით, საინტერესოა ელ. ვირსალაძის დაკვირვება ფილოსოფიური ხასიათის ლექს-სიმღერებზე: „ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლექსებსა და აფორიზმებში უმეტესად ეთიკურ პრობლემებზეა მსჯელობა. აქ არის გადმოცემული ქართველი ხალხის შეხედულებანი ადამიანისა და მისი დანიშნულების შესახებ ამქვეყნად, წარმოდგენები ბუნებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე... ფილოსოფიური ხასიათის ტექსტები ხშირად ქართული „სუფრული“ სიმღერების შინაარსს წარმოადგენდა. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. ჩვენ ვიცით, რომ ქართული სუფრა, თავისი წეს-ჩვეულებათა მთელი კომპლექსით, არ წარმოადგენდა მხოლოდ ლხინისა და უსისტემო ღრეობისათვის განკუთვნილ ადგილს. სწორედ აქ, თამადის დალოცვისა და მორიგი სადღეგრძელოების შემდეგ ადგილი ჰქონდა – უმეტესად ფილოსოფიური განსჯის შემცველ ლექს-სიმღერების, აფორიზმების შესრულებას“ (ვირსალაძე 1979: 6).

განმარტება აღარაა საჭირო, ქურაზიშვილების სამი მზის მაღლით მოსილ პურადობას, რომელიც ღრმა რელიგიური შინაარსითა და მაღალი მხატვრული ოსტატობითაა წარმოჩენილი, ქართული სუფრის ტრადიციებიდან იღებს სათავეს. ბალადა „თეთრი მანგური“ კი ორიგინალურ მიდგომას საჭიროებს. არცერთი მონადირე ზემოთ განხილულთაგან არაა მოხსენიებული სახელდებით, ისიც ამგვარი აღზევებული მდგომარეობით, თანაც ბუნდოვანებით. კონკრეტულ შემთხვევაში თეთრს ფიზიკური ფერის გაგება კი არ ახლავს, არამედ მასში განათლული, ნათლით მოსილი ადამიანი მოიაზრება. ამდენად, ბალადის შესავალი გასაღებია ნაწარმოების იდუმალებით მოცული შინაარსის ამოცნობაში. თუნდაც პირველი სტრიქონი: „სვანეთის საქებო თეთრო მანგურ“. დალის ციკლის მასალებდან არცერთი მონადირე არაა მოხსენიებული მთელი სვანეთის საქებად, ასეთი გამონაკლისი მიმართვა ერთადერთზე, ნათლით მოსილ მანგურზეა თქმული. ამ ერთი სტრიქონით მთქმელი ბევრ რამეს გვაგრძნობინებს, კონკრეტულად კი იმას, რომ ნათლით მოსილი მანგურის ტიპის ინდივიდიც ბუნებრივია, კარგი ცხოვრებით ცხოვრობს და ჩამოთვლილია სოფლები, რომ სანიავებელი წვირმში აქვს, პურის საშრობი იფარში, კალო – კალაში, სახნავი – ლახამულაში, სათიბი კი – შხარაში. იბადება კითხვა: როგორ, რა გზებითა და საშუალებებით მიაღწია მანგურმა ამგვარ აღმატებულ მდგომარეობას ადამიანთა საცხოვრისში? ჩვენ ვიცით, რომ ძველ დროში ოჯახს, გვარს, სოფელს, თემს მკაცრად შემოსაზღვრული ტერიტორია ეკავა. დავძენთ, რომ სასიცოცხლო სივრცის დაცვა დასაბამიდან დღემდე ადამიანთა მოდგმის უპირველესი ვალი იყო. ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზეც, მისი ხელყოფა კონფლიქტებისა და ომების მიზეზი ხდება. ასე რომ, პრობლემა

მარადჟამიერია. ძველ დროში კი საზღვრის გადაწევა ძმათა შორისაც დაჭრით, ცალკეულ შემთხვევაში კი მკვლელობითაც მთავრდებოდა. ნათქვამს ისიც უნდა დაუვმატოთ, რომ ადამიანთა ურთიერთობები უკიდურესად დაძაბული იყო, გვარი გვარს მტრობდა, თემი – თემს, ოჯახი – ოჯახს, სოფელი – სოფელს. ამგვარ გართულებულ სიტუაციაში ადამიანები მეზობელ სოფელში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, რომ ვინმეს შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, გზაში არ დახვედროდა, არ გაედარცვა ან არ დაეჭირათ და საფასურის გადაუხდებლობის შემთხვევაში ტყვედ არ გაეყიდათ ჩრდილო კავკასიაში. მკაცრად იყო დაცული ტყის მასივები, სამონადირეო ადგილები, საძოვრები და სათიბები. ამ ფონზე თითქოს მოულოდნელია, ალოგიკურიც თეთრი მანგურის ესოდენ მკვეთრად გამორჩეული, ადამიანური არსებობის ყველა სფეროში მიზანმიღწეული მდგომარეობა. თუმცა ეს არაა გასაკვირი, მანგური ხომ სხვათაგან განსხვავებული ინდივიდულობაა, ნათლით მოსილი, ღვთით ხელდებული. იგი უნივერსალური მოვლინებაა ადამიანთა საცხოვრისში, იმდენად, რომ მის უმთავრეს ღირსებათა შესატყვისი სისრულით წარმოჩენა და გააზრება გადაუღალავი სირთულეების წინაშე გვაყენებს. მთქმელი ხელშესახები ფაქტებითა და პერსონაჟის რაიმე თავგადასავლების აღწერა-დახასიათებით არაფერს გვეუბნება, მაგრამ იმგვარი პოეტური სტრიქონებით წარმოგვიდგენს მანგურის პიროვნებას, რომ მკითხველს უსაზღვრო შესაძლებლობები ეძლევა მისი ზეაღმატებული მდგომარეობის გასაცნობიერებლად – ნათლით მოსილ მანგურს ფიზიკურ შრომასა და გარჯაში მხარში უდგანან და ეხმარებიან სულიერი არსებები:

საფოცხად თურმე დევები გენვევიან,
სამკალად თურმე დალები გეხმარებიან.
(შანიძე ... 1939: 277)

დამონმებულ სტრიქონებში ღრმა სიბრძნეა ჩადებული, ადამიანური არსებობის ყოველნაირ ღირსებათა სრული სისავსის დამტვევი. მასში, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური და სულიერი ძალების თანახმიერი, ჰარმონიულად შერწყმული მრავალფეროვნებაა ამოსაცნობი, ზემხედველი სულიერებით განათებული აზრები. დევები ამირანიანის ვარიანტებსა და დალის ციკლის მასალებში დემონურ ძალებად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ მანგურის საუფლოში ბოროტება, როგორც ასეთი, არ არსებობს, იგი სიკეთედაა გარდაქმნილნი, აშკარაა, რომ მანგურზე ღვთიური მადლია გადმოსული. მისი საუფლო თავისუფლების საუფლოა. ბუნებრივია, რომ ამგვარ ინდივიდუალობას ხალხური მთქმელი პრაქტიკული ცხოვრების ყველა სფეროში ხელმომართულ, ყოველნაირად აღზევებული მდგომარებით წარმოგვიდგენს: მას კიდობნებად ვეებერთელა ქვაბები უდგას, ხოლო ქვევრები იმერული ღვინით აქვს სავსე. ამას მოსდევს მთქმელის ერთგვარი გაკვირვებითა და სიამაყით აღსავსე სიტყვები:

პური გაქვს, ო, ყირიმისა.
(შანიძე ... 1939: 277)

როგორც ვხედავთ, ვინროდ გაგებულნი ლოკალური სივრცე გარღვეულია. ნათლით მოსილ მანგურს ყველგან მიესვლება (უფრო ზუსტად, ყველგან მყოფია და – კონკრეტულად არსად). იგი ზეამაღლებულ ინდივიდად წარმოგვიდგება, სხვანიად არც შეიძლება, იგი ხომ „მინიერი სამოთხის“ ბინადარია, თავისი ფართო თვალსაწიერით მომავლის ადამიანი, ზოგადკაცობრიული შინაარსით დატვირთული. აქვე უნდა დავძინოთ, როცა ვამბობთ „მინიერი სამოთხე“, მხედველობაში გვაქვს ე. ელიზბარაშვილის საინტერესო ნაშრომი „ამქვეყნიური სამოთხის იდეა „დიგენის აკრიტაში“ (ელიზბარაშვილი 2003).

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით კი მცირე განმარტებაა აუცილებელი: მანგურს ქვევრები სავსე აქვს იმერული ღვინით, ხოლო პური აქვს „ყირიმისა“. რასაკვირველია, თანამედროვე მკითხველისათვის არამც თუ იმერეთი, ყირიმიც არ წარმოადგენს ძნელად მისაღწევ მხარეს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ისევ ძველი დრო, გვაროვნულ ურთიერთობაში მყოფი ადამიანების მძიმე, კარჩაკეტილი ცხოვრებისეული პირობები უნდა გავითვალისწინოთ, რომელთაც მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე უხდებოდათ შრომა, გარჯა და მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლა. უნდა შევძლოთ, მოხერხდეს მათი რთული ყოფიერების შუა გულიდან ამოსვლით მსჯელობა, დასკვნამდე მისვლა. ცხადია, აქ იმის გათვალისწინებაა აუცილებელი, თუ როგორია სვანურის, როგორც საერთო ქართული ტრადიციებიდან ამოზრდილი ტომობრივი ერთეულის განვითარების გზებისა და საფეხურების სპეციფიკურობა და თვით გვაროვნულ-თემური ურთიერთობის შიგნით მიმდინარე პროცესები, წეს-ჩვეულებებიდან მკაცრად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, მათი სიღრმისეული წვდომა, ანალიზი. ადამიანები ხომ მიჯაჭვულნი იყვნენ მათთვის განკუთვნილ სასიცოცხლო ტერიტორიას, ფლორასა და ფაუნას. ისინი, ცალკეული გამოწვევის გარდა, მთლიანად მონყვეტილნი იყვნენ მოსაზღვრე კუთხეებთან ურთიერთობას, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ დასახელებულ მხარეებს შორეულად თვლიდნენ, მით უმეტეს ყირიმს. ნათქვამთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ზევსის ბრძანება, რომ პრომეთე კავკასიონის ქედზე მიეჯაჭვათ. იქვე ვკითხულობთ: „ქვეყნის დასალიერად თვლიდნენ ბერძნები იმ მხარეს, სადაც კავკასიონის მარადთოვლიანი მხარე ეგულეობდათ... ჰეფესტომ სწორედ ამ, კავკასიონის კლდოვან ქედზე მიაჯაჭვა თავისი თანამომძე (ბერძნული მითების სამყარო, „ლოგოსი“, 1998). „თეთრი მანგური“ თავისი სპეციფიკურობით იპყრობს მკითხველის ყურადღებას. იგი დალის ციკლის ყველა მონადირისაგან იმ ნიშან-თვისებებითაც სხვაობს, რომ მასში პიროვნულ ღირსებებზე მინიშნებაც კი არ გვაქვს, როგორც ეს ასე თვალში საცემია ცალკეულ მონადირეთა თავგადასავლების აღწერისას. მანგური ზოგად ადამიანური ღირსებებითაა მომხიზვლენი გმირი და არა – თემში, თუ სოფელში თავისი კაი ყმობით, შეუდარებელი სამონადირეო ხელოვნებით, მუხლმაგრობით, ამტანობითა და სხვა. ასე რომ, ნაწარმოებში წარმოდგენილი სოფლები და მხარეები პირობითია, იგი სცილდება ლოკალურ საზღვრებს და საზოგადო შინაარსს იძენს. მისი სამოქმედო არეალი მთელი სამყაროა და არა მხოლოდ კონკრეტუ-

ლად მითითებული ადგილები (ონიანი 2009: 289). ამდენად, ბუნებრივი ჩანს, რომ მანგურის სამყაროში ბოროტება გარდაქმნილია, ის სიკეთის სამსახურშია ჩამდგარი, მას ხომ „საფოცხრად დევები ენევიან“, ხოლო მოსამკალად დალები ეხმარებიან.

მართალია, ბალადა სამონადირეოა, მაგრამ შესავალი ნაწილი მთლიანად მანგურის მიწიერი შრომის ქება-დიდებას ეძღვნება, რაც მრავალმხრივაა საინტერესო და ბევრ საფიქრალს გვიჩენს. ამ აზრით, იგი გამონაკლისია დალის ციკლის მასალაში. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ „თეთრი მანგურის“ უნივერსალურობაზე, რომ შრომის უძველესი ფორმა ნადირობა მინათმოქმედებასთან ერთად სინთეზურადაა წარმოჩენილი მანგურის ბუნებაში, ორივე სფეროში შეუდარებელია, ამიტომაც იგი მთელი სვანეთის საქები. დავძენთ, რომ ამგვარი დასაწყისი ორიგინალურია, მას ანალოგი არ დაეძებნება სამონადირეო პოეზიაში. ეჭვი არ არის, რომ „თეთრი მანგური“ მითოლოგიურ პერსონაჟთა შორისაც საპატიო ადგილს ჰპოვებს. აი, ამგვარი, ყოველნაირი ღირსებით შემკული გმირი მიდის სანადიროდ:

ასე გასდგომიხარ გზას,
წასულხან ჯიხვზე სანადიროდ,
დაგლამებია თურმე გამოქვაბულში,
დაგინთია დიდი ცეცხლი,
ჯიხვის მწვადი შეგინვავს
ამ დროს დალი გსტუმრები.
(მანიძე ... 1939: 277)

ბალადის მეორე ნაწილი ბუნებრივი გაგრძელებაა პირველისა და მასში ნადირობასთან დაკავშირებული სირთულეებია უმთავრესი. აქაც თითოეული სტრიქონი დამოუკიდებელ დაკვირვებას საჭიროებს. ტექსტში პოეტური მეტყველების სტილია საინტერესო. მთქმელის ყურადღება გადატანილია არა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, არამედ ამბის განვითარებაზე, რომელიც ძალზე ლაკონურად, ტევადი აზრის შემცველი სიტყვებითა და სტრიქონებითაა მოწოდებული. მას არ ახლავს მანგურის, როგორც მონადირის რაიმე ნიშან-თვისების, თავგადასავლის აღწერა-დახასიათება. თანაც მთქმელი გადმოგვცემს ამბავს თითქოს სხვისგან გაგონილს, მონათხრობს ეუბნება მანგურს. დამონმებული ტექსტის თითოეული სტრიქონი ამ აზრის დადასტურებაა. თავისთავად იგულისხმება, რომ სანადიროდ გასული მანგური ხელმოცარული არ დაბრუნდება, მაგრამ სახლიდან გასვლის გადანყვეტილებასა და თვით ნადირობის პროცესზე არაფერია თქმული. ამბავი პირდაპირ მანგურისადმი მიმართვით იწყება: „ასე გასდგომიხარ გზას, წასულხარ ჯიხვზე სანადიროდ და გამოქვაბულში დაგლამებია“. ცხადია, იგულისხმება, რომ მანგურმა ჯიხვი მოინადირა და მერე შევიდა გამოქვაბულში, სადაც დაულამდა კიდევ. ეს ეპიზოდი ასეა გააზრებული მიხეილ ჩიქოვანის მიერ: „ბალადის მიხედვით ჯიხვებში მოსიარულე თეთრ მანგურს შემოალამდა და გასათევად

გამოქვაბულს მიმართა. გავიმეორებთ, ტექსტში პირდაპირ წერია, რომ ჯიხ-
ვზე სანადიროდ გასულ მანგურს გამოქვაბულში დაულამდა. სხვა შემთხვევაში
ამგვარ სხვაობაზე შეიძლება არაფერი გვეთქვა, მაგრამ, როდესაც მანგურის
პიროვნებაზე ვსაუბრობთ, ამას მნიშვნელობა აქვს. მკვლევარი განაგრძობს:
„მანგურმა გააჩაღა ცეცხლი, ააგო მწავდი. ამ დროს დალი ესტუმრა. მშვიდო-
ბით მომიხველ, „თეთრო მანგურ“, ეუბნება კლდეების დედოფალი მონადირეს,
თანაც კითხვას უსვამს: „ჩემს გამოქვაბულში რისთვის მოსულხარ?“ „დამი-
ლამდა და რა მექნა? სამიჯნურო ქსელის გაბმას დალი მუქარით იწყებს: „ცუ-
დად გაგიშვებდი აქიდან, მაგრამ ასეთი ვაჟკაცი არ მემეტები“. სიბრალულის
სიტყვების მოსმენის გამო, შეშფოთებული მონადირე მცირედ დამშვიდდა“ (ჩი-
ქოვანი 1970: 44). როგორც ვხედავთ, დალისა და მონადირის შეხვედრა ძალზე
უჩვეულოა. მას არ უძღვის რაიმე პირობა ქალღმერთის მხრიდან, როგორც ეს
ჩვეულებრივ გვაქვს მონადირესთან შეხვედრის შემთხვევაში: საჩუქრის ბოძე-
ბა, გაფრთხილება, მუქარა და სხვა. ამ შეხვედრის თავისებურებათა ჩვენებამ-
დე იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ თეთრი მანგური ცნობიერი პიროვნებაა,
მისი ყოველი ნაბიჯი, ქმედება, წინასწარაა გააზრებული, გათვლილი, ასევეა
კონკრეტულ შემთხვევაშიც. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ დალის გამოქ-
ვაბულში შევიდა. ეს კი უჩვეულო ქმედებაა – ფიქრითაც წარმოუდგენელი. თუ-
კი რომელიმე მონადირემ იცის დალის სამყოფ-სადგომი, ვალდებულია საიდუმ-
ლოდ შეინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალღმერთის რისხვა გარდაუვალია
– მონადირეს დაღუპვა ელის. ასე რომ, დალის ნებართვის გარეშე მის გამო-
ქვაბულში ვერც ერთი მონადირე ვერ შევა. ნადირთ პატრონი გულთმისანია,
მან მონადირეზე ყველაფერი იცის. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დალის
სამყოფ-სადგომს მოკვდავთაგან ვერავინ გაეკარება. ყოველი მონადირე, რო-
გორი სახელგანთქმულიც არ უნდა იყოს, თუნდაც დალის რჩეული, კრძალვითა
და ლოცვით უვლის გვერდს იმ მიდამოს, სადაც დალის გამოქვაბულია. სწორედ
ამ ფონზეა საინტერესო დალისა და თეთრი მანგურის შეხვედრა. ამ შეხვედრას
არანაირი სიმძაფრე არ ახლავს. ეს არაა შემთხვევითი. დავძენთ, რომ მანგური
არაა დალის საყვარელი. ამიტომ ეს ეპიზოდი საგანგებო, ორიგინალურ მიდ-
გომას საჭიროებს. როგორც ითქვა, ქალღმერთმა დალიმ ზედმინწევით კარგად
იცის მანგურის ვინაობა, რა ტიპის ინდივიდია იგი, რას წარმოადგენს. ესეცაა
იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მას სხვა მონადირეთა მსგავსად არ ეპყრობა.
მგავს ქმედებას დალი არცერთ მონადირეს არ აპატიებდა. მაგრამ ნათლით მო-
სილი მანგური მისთვისაც გამორჩეულია. ამიტომაცაა, რომ მასთან დიალოგი
სხვაგვარად წარიმართა. ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ დალის გამოქვაბულში
შესულმა მანგურმა ცეცხლი დაანთო და მწვადი შეწვა. უნდა ვივარაუდოთ,
რომ გარკვეულ რიტუალსაც შეასრულებდა. სწორედ ამ დროს შევიდა დალი
გამოქვაბულში:

თეთრო მანგურ, მშვიდობით მომიხვე!
რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?
– დამილამდა, აბა რა მექნა?

(შანიძე 1939: 277)

როგორც ვხედავთ, ქალღმერთი დალისა და მანგურის შეხვედრა სპეციფიკურია. მისი სისრულით ამოცნობა და წარმოჩენა ნათელმოსილი მანგურის პიროვნულ ღირსებათა უნივერსალურობაშია საძიებელი, იგი ხომ ნუთისოფლის ამაობასა და ყოველდღიურობაზე ამალღებულები, უფრო ზუსტად, ზემხედველი ინდივიდუალობაა, ფართო თვალსაწიერის. მისთვის კუთხური კარჩაკეტილობა უცხოა, მისი საზღვრები გარღვეულია იმ დონეზე, რომ მკითხველის ცნობიერებაში ზოგადკაცობრიული ინტერესებით დატვირთული მითოსური გმირია წარმოდგენილი, რომელშიც ადამიანთა მოდგმისათვის მესიტყვე ძალზე შორსმხედველი პიროვნებაა დასანახი. ამიტომ ბუნებრივად ჟღერს დალის კითხვაზე: „რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?“, მანგურის წრფელი პასუხი: „დამიღამდა, აბა რა მექნა?“ ვერც ერთი ზემოთ განხილული მონადირეთაგანი მსგავს პასუხს ვერ გასცემდა. არცაა მოსალოდნელი, ვინაიდან ნადირთ პატრონის ნებართვის გარეშე გამოქვაბულს ახლოსაც ვერ გაეკარებოდა. ე.ი. ის, რაც სხვათათვის დაუშვებელია და შეუძლებელი, მანგურისათვის ბუნებრივი ჩანს. ჩვენ სრულიად განსხვავებულ, სხვა სულიერი სიმაღლის მქონე პერსონაჟთან გვაქვს საქმე. ასე რომ, თეთრი მანგური ყველგან და არსებობის ყველა სფეროში ორიგინალური მოვლინებაა, მისი ქმედებათა განსჯაც მაღალი სულიერების დონეზეა შესაძლებელი. დავძენთ, რომ დალთან მისი ურთიერთობა თანაბარი უფლებით წარიმართა. მრავლის მეტყველია ქალღმერთის სიტყვები მანგურის პასუხზე:

ასვლა დაბრუნებას ცუდს მიზამდი,
მაგრამ ამისთანა ადამიანი მენანები.
(შანიძე 1939: 277)

ე.ი. თვით დალიც თეთრი მანგურის განსაკუთრებულ ღირსებებზე მიგვანიშნებს. მართალია, ნაწარმოების მომდევნო სტრიქონები მოგვითხრობს ქალღმერთი დალის მიერ სიყვარულის შეთავაზებაზე, მაგრამ მას არ ახლავს მუქარა. ეს კი მრავალმხრივია საინტერესო. აქაც აშკარად იგრძნობა მანგურისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. რასაკვირველია დალი დარწმუნებულია თეთრი მანგურის ნებელობის სიძლიერეში, ამიტომ მხოლოდ მიმართავს, რომ საიდუმლო არ გაამჟღავნოს და აღუთქვა:

როცა დიდი გაჭირვება დაგადგეს („მოგივიდეს“)
მაშინ ჩემი სახელი ახსენე,
გვერდში მდგომად გამოგადგები,
ჯიხვსა და არჩვს არ დაგიძვირებ.
(შანიძე 1939: 277-279)

დამონმებული ეპიზოდი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. დალი თეთრ მანგურს ფიზიკურ საჩუქარს კი არ სთავაზობს, რომელიც მისივე არ-

სების განივთებული ნაწილია, არამედ მხოლოდ სახელის ხსენებას. ე.ი. ქალღმერთმა სიტყვის ძალით დააჯილდოვა მანგური და არა მძივით, მაკრატლით ანდა სხვა ნივით. ეს კი ყველაზე მაღალი ჯილდოა და, ამასთანავე, ერთადერთი დალის ციკლის მასალაში. ასეთი ღვთიური მადლი მხოლოდ და მხოლოდ მანგურზეა დაშვებული. შინისკენ მიმავალს, მართლაც, სვავეები დაესხმიან თავს. რვა, ცხრა კაცს კლავს, მასაც დაჰკრეს. სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე მდგარმა მუხლი მოიყარა და დალს შესთხოვა დახმარება (ონიანი 2009: 386):

აბა, დალო, სადა მყავხარ?
 მე სავები მკლავენ!“
 გამომხტარა ჭიუხიდან
 დალი მანგურის საყვარელი,
 იფნის შტო ხელთ ჰქონია,
 დარეგია სავებს,
 მოამბედ ერთიც არ დაუტოვებია.
 მანგურს ერთი ფრთა მოუსვა,
 ჭრილობა მოურჩენია.
 ჯანსალი (გამრთელეებული) შინ გაუშვია.
 (შანიძე 1939: 279)

საგანგებოდ უნდა დავძინოთ, რომ ბალადის მეორე ნაწილი, კერძოდ, მანგურის სანადიროდ გასვლა, ქალღმერთ დალისთან შეხვედრა, შინ დაბრუნება და გზაზე სავების თავდასხმა, პრობლემური მნიშვნელობის სიახლეების წინაშე გვაყენებს. თითქოს დალიც თავისი გრძნობიერებით საკმარისად მიახლოებულია ადამიანურ ყოფით რეალებთან. თვით თეთრი მანგურის პიროვნებაც ახალი, განსხვავებული თვალთა დასანახავი. თუ ღრმად დავაკვირდებით დალთან შეხვედრას, თვით ნადირობის პროცესს, ძნელად გასახსნელი საიდუმლოების წინაშე აღმოვჩნდებით. ნაწარმოებში მოკვდავისა და უკვდავის შეხვედრა, დიალოგი და შედეგები უპირველეს ყოვლისა, ნათლით მოსილი მანგურის მაღალი, ზეგრძნობადისკენ მიმავალი ცნობიერების წყალობით, მაგარანტირებელი ძალა აღმოჩნდა ადამიანის სულიერ ძალებთან თანახმიერი ურთიერთობისა. იგი, თავის არსით, ახალი და მაღალი ფორმაა დალისა და მონადირის ტრადიციული ურთიერთობის ისტორიაში. მას, მართლაც, არ დაეძებნება ანალოგი სამონადირეო ციკლის მასალაში. არც ესაა შემთხვევითი. ჩვენ შესავალი ნაწილიდან კარგად ვიცით, რომ თავად მანგური ახალი ყოფიერების დამფუძნებელია მინიერ საუფლოში. იგი იმდენად გამოკვეთილი გამორჩეულობაა ადამიანთა საცხოვრისში, რომ ფიზიკურ შრომასა და გარჯაში დევები და დალები ეხმარებიან. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ასე რომ, როცა საუბარია სამონადირეოდ გასული მანგურის ქალღმერთი დალის გამოქვაბულში დაუკითხავად შესვლაზე (გარეგნულად იგი თითქოს თვითნებურია), ნადირთ პატრონთან შეხვედრასა და დიალოგზე, თავისთავად

იგულისხმება, რომ ეს შეხვედრა დაუძაბავად წარიმართებოდა. გავიხსენოთ მანგურისადმი ქალღმერთი დალის სიტყვები:

ასე ვერ გაგიშვებ,
საყვარლად თუ არ გამირიგდები.
(შანიძე ... 1939: 279)

ნათლით მოსილმა მანგურმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კრიტიკულ ჟამსაც დალის სიტყვებს ისეთი წრფელი, გონივრული პასუხი შეაგება, რომ ქალღმერთის სრული, უსიტყვო ნდობა მოიპოვა:

მე სიამოვნებით გაგირიგდები,
მაგრამ ცოლი და შვილები მყავს.
(შანიძე ... 1939: 273)

ამკარაა, რომ მანგური ჭეშმარიტად მაღალი ცნობიერების, წმინდა ტრადიციების დამცველ ინდივიდად წარმოგვიდგება. იგი ამგვარი ქმედებითაც განსხვავდება სხვა მონადირეებისაგან, კერძოდ, ბეთქილისაგან. საგანგებოდ უნდა დავძინოთ, რომ მანგურმა, როგორც მაღალი სულიერებით დაჯილდოებულმა პიროვნებამ, ღირსეულად გაუძლო ღვთიურ გამოცდას. დალთან შეხვედრამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნათლით მოსილი მანგურის სულიერი ამაღლების გზაზე, დამოუკიდებელ, პიროვნულ ინდივიდად ჩამოყალიბებაში. დალთან შეხვედრის მნიშვნელობა მრავალნაირია, მან ბევრი პრობლემური მნიშვნელობის კითხვას უნდა გასცეს პასუხი, თვით ქალღმერთის ფუნქციათა განვითარების გზებსა და საფეხურებზე, ფართო გაგებით ბუნებაზეც (ამაზე ქვემოთ). მომდევნო სტრიქონებით დალი ერთგვარად ამშვიდებს კიდევ მანგურს:

იმათ ამით არაფერი დაუშავდებათ რა,
მაგრამ არსად გაამჟღავნო.
(შანიძე ... 1939: 279)

როგორც ვხედავთ, სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება, წინააღმდეგობასა და რაიმე გაუგებრობას, დალისა და მონადირის დიალოგში, ადგილი არ აქვს. მეტიც, ურთიერთობა მაღალ სულიერ რეგისტრშია გადმოცემული, თანაც იმნაირი ფორმით, რომ დიალოგი თითქმის თანაბარ უფლებრივ დონეზეა წარმოდგენილი. როგორც ითქვა, იგი ერთადერთი შემთხვევაა დალის ციკლის მასალაში, ოლონდ, ამგვარი სპეციფიკურობების დანახვა, ამოცნობა კუთხის რწმენა-წარმოდგენათა და სამონადირეო ტრადიციის ღრმა ცონდას საჭიროებს. მასში ჩვეულებრივ ადამიანურ სწრაფვებსა და სურვილებზე ამაღლებული, ზესულიერთან თანაზიარობაა დასანახი. ბალადის შესავალ ნაწილზე

მსჯელობისას ითქვა, რომ ნათლით მოსილი მანგური გამორჩეული მოვლი-
ნებაა მიწიერ საუფლოში. ასეთივეა ის სულიერ არსებებთან ურთიერთობაში.

ქალღმერთ დალისთან შეხვედრა და ამ შეხვედრის შედეგებიც ამ აზრის
დადასტურებაა. მასზე დაკვირვებას ჩვენ საინტერესო დასკვნებამდე მივყა-
ვართ. მანგური მაღალი სულიერ სიწმინდესთან ერთად ჭეშმარიტად რაინდუ-
ლი ბუნების, რჩეულ ვაჟკაცად წარმოგვიდგება. ამასთანავე თვით ქალღმერ-
თი დალის ბუნებაც განსხვავებულად, ახალი თვისობრიობითაა წარმორჩე-
ნი. ტექსტიდან ვიცით, რომ მანგურისა და დალის შეხვედრა სიყვარულითა
და ინტიმური ურთიერთობით მთავრდება. მეორე დღეს სახლისკენ მიმავალ
მანგურს სავები დაესხმინ თავს. სწორედ აქ გამოჩნდა მთელი სისრულითა და
სიძლიერით მანგურის რაინდული ბუნება. როგორც დამონმებული ტექსტიდან
ვიცით, იგი მარტოდმარტო შეება მომხდურთა მრავალრიცხოვარ ლაშქარს.
სწორედ ამგვარ კრიტიკულ ჟამს წარმოგვიდგა მანგური, როგორც ჭეშმარი-
ტი რაინდი მთელი თავისი ძლევამოსილებით, მისთვის უცხო აღმოჩნდა შიშის
განცდა:

ო, წყეული სავები,
შემოგსევიან იქით აქედან,
ისარი და ხანგარი აურევიათ,
დაგიწყეს ცემა-ჩეხა.
ცემა-ჩეხას მე გასწავლი,
უშიშვლია თავისი ხმალი,
რვა-ცხრა მოუკლავს,
რვა-ცხრა, გლახ, მას დაჰკრეს.

(შანიძე 1939: 280-281)

როგორც ზემოთ ითქვა, გასაჭირის ჟამს მანგურმა დაღს შესთხოვა დახ-
მარება. „აბა, დალო, სადა მყავხარ? მე სავები მკლავენ“. სავედრებელი სიტყვის
თქმა და აღსრულება ერთი იყო. დალიც უმალ მის გვერდით აღმოჩნდა. ხელში
იფნის შტო ეჭირა, დაერია სავებს, მოამბედ ერთიც არ დატოვა, მანგურს კი
ფრთა მოუსვა ჭრილობაზე და გამრთელებული შინ გაუშვა.

რასაკვირველია, პირველ რიგში ჩვენ მანგურის პიროვნება გვინტერე-
სებს. იგი ღვთით ხელდებულია, ზესულიერებამდე ამაღლებული, ღვთიურთან
წილნაყარი ინდივიდი. მას უკვე პირდაპირი კავშირი აქვს სულიერ ძალებთან.
არც ესაა შემთხვევითი. ამირანის ერთ-ერთ ქართლურ ვარიანტში ვკითხუ-
ლობთ: როცა ამირანმა ხელმწიფის ლამაზი ქალი კამარი მოიტაცა, ხელმწიფე
დაედევნა. ამირანმა მოიხედა უკან, დაინახა, რომ ხელმწიფე უკვე მოსწვენოდა
და წასვლა აღარ შეიძლებოდა. მაშინ ამირანი შეევედრა ღმერთს: ღმერთო, ისე-
თი კოშკი დადგი, რომ ოთხივე შიგ მოვექცეთო. ამირანს იმედი აუსრულდა (ჩი-
ქოვანი 1947: 279). აქაც ღმერთისადმი ვედრება და აღსრულება ერთდროულია.
ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე კახურ ვარიანტშიც. „ამირანმა შენატ-
რა ღმერთს და ერთი ციხე ამოვიდა: ღმერთო, იგეთი ციხე ამაიყვანე, ვერავინ

ვერ შემოვიდეს, ვერ გატეხოს. მემრე შიგ ეძინა ბადრს და ამირანს“ (ჩიქოვანი 1947: 311). ერთ-ერთი იმერული ვარიანტით, ამირანმა გაიგო ამბრის უძლევი გამრობის ამბავი და გადაწვიტა – მოდი წავალ, რაც მომივა მომივიდესო. შუა გზაზე რომ მივიდა, შეეხვეწა მეუფეს (მამა ღმერთს) და ნათლიას (მაცხოვარს), თუ ამბრი ჩემი მომრევი იყოს, მკვდარი დამახვედრეთ. მართლაც, მოკვდა ამბრი. დედამისი ურმით მოასვენებს, შეხვდა ამირანი და ამბრის დედამ სთხოვა, ურმიდან გადმოვარდნილი მკლავი ისევ ურემზე დაედვა. ამირანმა ძვრაც ვერ უყო. დედამ მკაცრად მიუგო: მგლოვიარე რომ არ ვიყო, მტვრად გაგატარებდი. ამირანი ისევ შეეხვეწა განგებას: გააცოცხლე ამბრი ისევ და მამრიეო“. სულიერმა ძალებმა ისმინეს ამირანის ვედრება და ამბრი გააცოცხლეს“ (ფ.არქ. XXVბ, 74, გვ. 39-48).

დამონმებული მასალა სიახლეა არა მარტო დალის ციკლისა და ამირანის ვარიანტებისათვის, არამედ ქართული მითოლოგიისთვისაც. მისი ცნობიერ დონეზე გააზრება სერიოზული სირთულეების წინაშე გვაყენებს. იგი ძირეულად განსხვავდება დალისა და მონადირის ურთიერთობის ამსახველი ტრადიციული პოეტური, თუ პროზაული ჩანაწერებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ამირანიანის ქართლურ, კახურ და იმერული ვარიანტების ორიგინალურ ეპიზოდებზე. ამჯერად კი დალის ციკლიდან მხედველობაში გვაქვს მონადირისადმი ქალღმერთის საჩუქარი, რომელიც შეიძლება იყოს: მძივი, ბეჭედი, მაკრატელი, ყუთი, რომელშიც თავშალი დევს და გახსნის შემთხვევაში მთელ მინდორს ეფინება, ან ვაზნები. ასევე მოსაფრთხილებელია ჯიხვის წიაღში, ნეკნში, შენივთებული „ლედე“ (ბრტყელი მრგვალი თეთრი ქვა, რომელიც სვანურ კერასთან იღო). მისი ფუნქციები მრავალნაირია და ჯიხვის თირკმელში დავანებული კვერცხივით მრგვალი ოქრო (ორივე სიახლეა სამონადირო ციკლის მასალისათვის). ჩამოთვლილთაგან თითოეული დამოუკიდებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებებითაა წარმოდგენილი. მათი მფლობელი მონადირე ვალდებულია გაუფრთხილდეს, არავის ახილვინოს, სამაგიეროდ ნადირობასა და პრაქტიკული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი მოემართება. გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც კი – ისჯება. დავძენთ, რომ დალის რომელიმე საჩუქრის მიხედვით მონადირეს ნატვრა არ უსრულდება, როგორც ეს ჯადოსნურ ზღაპრებშია. ამიტომ ვამბობთ, რომ მანგურისადმი დაბეჭებული მაღლი სიახლეა. ამ აზრით, საგრძნობლად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამირანის ზემოთ დასახელებულ ეპიზოდებში. პირველ ყოვლისა აქ იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ ამირანი ადამიანში განსხეულებული, კოსმიური გმირია, რომლის მისიაა მიწიერი საუფლოს განწმენდა ბოროტი ძალებისაგან. ამ საპატიო გზაზე მის ყოველ ქმედებას, ნაბიჯს უმაღლესი იერარქიული ძალები, მამა ღმერთი და უფალი განაგებენ, მეთვალყურობენ და ამონმებენ, ამიტომ ჩვეულებრივ მოკვდავს არ ძალუძს უკვდავებასთან თანაზიარი გმირის მოღვაწეობის საიდუმლოებათა ამოცნობა, იგი მხოლოდ ზემგრძნობადი ხედვისთვისაა საცნობი. ამასთანავე ადამიანური პრობლემებისა და მიწიერი საუფლოს სირთულეთა წვდომაც ამირანისთვის ზოგჯერ გადაუღახავ

დაბრკოლებად რჩება, მისი შეცდომისა და დასჯის მიზეზებიც ეს არის. სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნათლით მოსილი მანგურის შემთხვევაში. როგორც ითქვა, იგი ადამიანური ყოფიერების მრავალფეროვნებიდან ამოზრდილი, აღზევებული ინდივიდუალობაა და თვით ქალღმერთი დალის დამოკიდებულებაც მისადმი განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა. გავიხსენოთ მანგურისადმი მისი სიტყვები: „როცა დიდი გასაჭირი დაგადგეს, ჩემი სახელი ახსენე და გვერდში მდგომად გამოგადგები“. დალმა ამ მრავლისმეტყველი ფრაზით ყველაფერი აგრძნობინა მანგურს, რომ იგი ამიერიდან უშუალოდ მისი მეთვალყურეობის ქვეშ არის. ისიც იგულისხმება, რომ დალმა საკუთარი არსების სულიერი საიდუმლოება გაანდო, რაც არ შეიძლება გაემჟღავნებინა სხვა მონადირისათვის. უკვე აშკარადაა წარმოჩენილი მანგურის გამოკვეთილი გამორჩეულობა, რომ იგი არაა სხვათა მსგავსი. მანგურმა ხომ სამოთხის დარი საუფლო დააარსა ადამიანთა საცხოვრისში. ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ მაინც ძნელია, ჭირს იმ ადეკვატური ტერმინის მოძიება, რომელიც დალის მიერ მანგურზე დაშვებული მაღლის არსს სრული სახითა და მასშტაბურობით წარმოგვიჩინდა. საკმარისია სახელის ხსენება და ქალღმერთიც უმაღლეს მანგურის გვერდით დგას. ე.ი. დრო და სივრცე მისთვის არ არსებობს, დაძლეულია. მანგურის არსებაში ღვთიურთან თანაზიარობასთან გვაქვს საქმე, რომლის ამოცნობა მაღალი სულიერი ხედვითაა შესაძლებელი. თითქმის ანალოგიური, მაგრამ სხვა ფორმით, დალისა და მანგურის ურთიერთობის ეს ეპიზოდი გვაგონებს ზემოთ განხილული ბალადის „მონადირე ჩორლადან“ წმიდა გიორგის მიერ მხარმოტეხილი ჩორლას გამრთელებას, გამოჯანსაღებას. მთავარმონამის უშუალო ჩარევით კლდეზე გადმოკიდებული ჩორლა დალებმა გაათავისუფლეს, მაგრამ მხარი მოსტეხეს. „უფალი გიორგი ქვევით უცდის, ჩორლა კი ძლივს მოდის, – ჩორლა ჩემო, როგორა ხარ? – როგორ ვიქნები ბეჩავი?! მარჯვენა მხარი მომტეხეს. – ჩამოდი ჩემთან.

სამ ჯიხვს ერთმანეთზე მიგიბამ,
 თუ ამას მხარზე აიკიდებ,
 მაშინ ნადირობაში ხელი არ შეგეშლება.
 სამი ჯიხვი ერთმანეთს მიუბა,
 ეს ჩორლას აჰკიდა...
 გასდგომიან გზას.

(შანიძე ... 1939:)

ვარიანტში კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ მხარმოტეხილმა ჩორლამ ჯიხვი ძალიან სწრაფად აიკიდა და გამოჯანსაღდა. დიალოგი იმგვარი შინაურული ტონითა და ფორმით მიმდინარეობს, რომ ახსნა-განმარტება აღარაა საჭირო. მსგავსება ამ ორი ძეგლის დამონმებულ ეპიზოდებს შორის აშკარაა. ორივე მონადირე იკურნება ღვთიურ ძალთა ჩარევით. ვიმეორებთ, თითოეულში სხვადასხვა გზით, მიზნითაც ხდება სრული ფერისცვალება. მონადირე ჩორლა

ნმ. გიორგის შენევნით მთის წვერზე ახალ სინამდვილეს, საიდუმლოებას ეზიარება, ხოლო მანგური განკურნებული, ახალი ენერგიით სავსე და გარდაქმნილი შინ ბრუნდება. ბალადის მეორე ნაწილში ნათლით მოსილი მანგურის იდუმალ სიბრძნესთან თანაზიარობა დამოუკიდებელ კვლევას საჭიროებს. აქ ჩვენთვის ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის სიახლეზე უნდა შევჩერდეთ. კერძოდ, მანგური აშკარა სიკვდილს დალიმ გადაარჩინა, თვითონ ჩაება წყეული სავების (ოსების) წინააღმდეგ ბრძოლაში, იფნის შტო ხელთ ეჭირა და მთლიანად ამოწყვიტა, „მომამბედ ერთიც არ დაუტოვებია“. მანგურს კი ფრთა მოუსვა და ჭრილობებისგან განკურნებული შინ გაუშვა. ქალღმერთის ამგვარი ქმედება მნიშვნელოვნად ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს და ახალი შინაარსით ავსებს დალის ფუნქციასა და სახეს. რჩეულ მონადირეებთან ურთიერთობაში ასეთი მკვეთრი სიახლე (მკურნალობა) ჯერჯერობით ერთადერთია, რაც დალის პრობლემას კიდევ უფრო განსხვავებული პოზიციებიდან გვაჩვენებს და ის ცალკეა გამოსაკვლევი.

დამონშებანი:

- Gogoch'uri D. *Melekseoba Khevsuretsi*. Tbilisi: gamomtsemloba "Sabch'ota Sakartvelo", 1974 (გოგოჭური დ. *მელექსეობა ხევსურეთში*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974).
- Elizbarasjvili E. *Amkveq'niuri Samotkhis Idea*. K'avk'asiis Matsne, № 8. Tbilisi: 2003 (ელიზბარასვილი ე. *ამქვეყნიური სამოთხის იდეა*. კავკასიის მაცნე, № 8. თბილისი: 2003).
- Virsaladze El., Zanduk'eli P., Matsaberidze V. (shemdgenlebi). *Kartuli Khalkhuri P'oezia*. T'. VII. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1979 (ვირსალაძე ელ., ზანდუკელი ფ., მაცაბერიძე ვ. (შემდგენლები). *ქართული ხალხური პოეზია*, ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979).
- Oniani O. *K'ult'uruli Gmiris P'roblema Kartul Polklorshi*. Tbilisi: gamomtsemloba "universali", 2009 (ონიანი ო. *კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009).
- Shanidze A. *Kartuli Khalkhuri P'oezia*. I. Khevsuruli. T'filisi: gamomtsemloba "sakhelgami", 1931 (შანიძე ა. *ქართული ხალხური პოეზია*. I. ხევსურული. ტფილისი: სახელგამი, 1931).
- Shanidze A., Topuria V., Gujejiani V. (shemdgenlebi). *Svanuri P'oezia*. I. Tbilisi: St'alinis sakhelobis Tsu st'amba, 1939 (შანიძე ა., თოფურია ვ., გუჯეჯიანი ვ. (შემდგენლები). *სვანური პოეზია*. I. თბილისი: სტალინის სახელობის თსუ სტამბა, 1939).
- Chikovani M. *Mijach 'vuli Amirani*. Tbilisi: Stalinis sakhelobis stamba, 1947 (ჩიქოვანი მ. *მიჯაჭვული ამირანი*. თბილისი: სტალინის სახელობის თსუ სტამბა, 1947).
- Chikovani M., Shamanadze N. *Kartuli Khalkhuri P'oezia*. T'. II. Tbilisi: gamomtsemloba "metsnierba", 1972 (ჩიქოვანი მ., შამანაძე ნ. (შემდგენლები). *ქართული ხალხური პოეზია*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972).

Otar Oniani
(Georgia)

The Relation of the “White Mangur” to the Hunting Ballads

Summary

Key words: “White Mangur”, Georgian hunting epic.

Among the ballad-songs of the myth cycle devoted to the Goddess of hunting Dali, the “White Mangur” is distinct for thematic novelty and archaism, high artistry and complicated religious practices. It has established its unique place among Georgian as well as mythological characters in general. The *White Mangur* is the most outstanding monument of the Georgian hunting epic. An in-depth penetration into its complex thematic world implies an appropriate scientific-based comprehension not only of the Svan, but also the entire Georgian oral tradition, beliefs and practices, its relationship to other monuments. In order to establish specific features of the monument under discussion, it is necessary to take into consideration the entire material of the Dali cycle, both poetic and prosaic which is preserved with all its archaic diversity and artistic power only in the Svan folklore. In the first place we should determine its relation to other ballads: *Betkil*, *The Hunter Chorla*, *Kala*, etc. The content of a given ballad makes ponder continuously, especially the introduction, which is completely devoted to the demonstration of Mangur’s personal dignity. It should be noted in advance that White Mangur is a qualitatively new folk hero of not only Georgian hunting epic, but mythology as a whole. Similar versatility is not observed in the deeds of any of the mythological characters; he is a hero of universal content. The introduction itself raises many questions. It has no analogue in the myths of the Dali cycle. “White Mangur renowned in Svanetia, White Mangur! Your style of life was good for you: you used to winnow your grain in Tsvirmi; you had a drying-room for grain in Ipari; a threshing-floor in Kala you had, so it seems. Your ploughing lands are in Lakhamuli, the meadows in Shkhara are yours. The devs visit you to rake with their rakes, Dalis help to reap... Your marani is full of kvevris; it is filled with Imeretian wine. Your bread, Oh, is from Kirimi”. The question arises as for what deeds White Mangur became a legendary hero in the entire Svaneti. Of particular interest is also Mangur’s origin. We do not know what his surname is, what village and community he comes from. The narrator tells nothing about it. To illustrate this and other peculiarities, it is necessary to consider its relation to other ballads. For instance, the ballad *Betkil* narrates about a legendary hunter called Betkil who is from the community of Mulakh-Muzhal. The story begins with a lament for a real hero: “Bail, Betkil, wretched, unfortunate Betkil! Bail ilba, ilba bail, Bail, Mulakh-Muzhal assembled, Bail ilba, ilba bail, Bail, they started the round-dance in Lentekhi, Bail ilba, ilba bail”. Then it is narrated how a white ibex leaped into the circle of dancers and jumped between Betkil’s thighs. The hunter Betki chases a white ibex which lures him

high up the crags. In pursuit of the white ibex, Betkil realizes that the white ibex is a reincarnated Dali but the return is impossible. Betkil dies a tragic death because he betrayed Dali. This ballad renders Betkil's tragic end as a hunter. We have different situation in the "White Mangur". Here the introductory part makes emphasis on the results of Mangur's actions. It is noteworthy that in the above ballads, the emphasis is made on the paths and stages of the hunter's physical and spiritual evolution. Ultimately, the fate of the hunter resonates with his actions, as it is in the case with Betkil's tragic end. In this respect the ballad-song "The Hunter Chorla" deserves special attention. Here we are dealing with a monument of a complicated religious content. The narrator recounts how hunter Chorla goes through a difficult path of initiation full of challenges. On this path, a person may perish if he is not spiritually prepared. The army of Dalis hang him on the rock but St. Giorgi the savior comes to rescue him. With the help of St. Giorgi, he reaches the highest level of spirituality being transformed into a new man at the top of the mountain. The work shows in detail the relation of Chorla to the Dalis and St. Giorgi. It is a fact that the behavior of Betkil and Chorla is associated with a purely hunting life, and they remain professional hunters. The same can be said about another ballad the "Hunter Kala" which narrates Kala's hunting adventure. Kala is pictured in the same way as the legendary hunter Chorla. Although the "White Mangur" is also a hunting ballad, we cannot say that Mangur remains a professional hunter, like Betkil and Chorla. Comparison of the "White Mangur" with other ballads has convinced us that each monument has its distinctive character. The restless and sometimes contradictory adventures of the hunters turned out to be unmistakable proof that they will remain the real hunters, distinctive men in the community. The comparison has shown the diversity of thematic worlds, deep religiosity and high artistic professionalism.